ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ 2015-2016 წწ. ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

იხილეთ დანართი: 24 (ოცდაოთხი) ფურცლად

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი ია მაკასარაშვილი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლების რაოდენობა 25. ფასი
№10/17614 31.10.16

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვარკეთილი-3 მაჟორიტარის დეპუტატის ია მაკასარაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

2015-2016 წწ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვარკეთილი 3-ის მაჟორიტარის ბიურომ 2015-2016 წლებში მიიღო 2400-მდე მოქალაქე. ამ ერთი წლის მანძილზე ბიურო პარალელურად იყო ჩართული ქალაქისა და კონკრეტულად, ვარკეთილელების წინაშე არსებული პრობლემატიკის გადაჭრ. პროცესში. ბიურო, როგორც აქტიურად მომუშავე რგოლი, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების არაერთგვაროვანი ხასიათის წერილებზე და პრობლემებზე მყისიერად რეაგირებდა.

სამუშაო პროცესმა აჩვენა, რომ პრობლემათა სპექტრი მრავალფეროვანია. მოქალაქეები ითხოვენ დასაქმებას, დახმარებას მედიკამენტებით, ოპერაციებისა და სამედიცინო მომსახურებების დაფინანსებას, თავშესაფრებით უზრუნველყოფას, ფართების დაკანონებას და სხვა სახის სოციალურ დახმარებებს, სტუდენტებისთვის სწავლის გადასახადის დაფინანსებას, ავარიული კორპუსების გამაგრებას. თანადაფინანსებული პროექტების განხორციელებას: მათ შორის, კიბეებისა და სადარბაზოების რემონტს, ლიფტებისა და სახურავების შეკეთებას, ეზოებისა და სკვერების კეთილმოწყობას.

მინდა აღვნიშნო,რომ წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ შევხვდი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეებს,პრობლემების უკეთ გაცნობისა და მომავალი წლის ბიუჯეტის უკეთ დაგეგმვის მიზნით.

ამჟამად, ბიუროში შემოსულია 1592 წერილობითი განცხადება, ხოლო მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით სხვადსხავა ინსტანციებში 1560 წერილია გაგზავნილი. ბიუროს შუამდგომლობით გაეწია დახმარება:

მედიკამენტების შესაძენად 367 მოქალაქეს;

სამედიცინო მომსახურება დაუფინანსდა 138 მოქალაქეს;

ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო 184 მოქალაქემ;

შეშით დახმარება გაეწია 49 ოჯახს;

არაერთმა მოქალაქემ მიიღო უფასო სასადილოებით სარგებლობის უფლება;

რეკომენდაცია გაეწია 138 მოქალაქეს მათი დასაქმების მიზნით.

ჩვენი შუამდგომლობებით და გამგეობის დახმარებით მოსახლეობას მოვუგვარეთ სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პრობლემები. (იხ.დანართი 1)

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი აქტიური შუამდგომლობებით მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მეშვეობით გამაგრდა III^ მ/რ-ის N 330,329,324, მე-2მ/რ N16, 19 და I მ/რ 24-ე კორპუსები , რის გამოც მოსახლეობა გამოთქვამს კმაყოფილებას.

ასევე ქალაქ თბილისის მერიის დახმარებით სუხიშვილისა და ჯავახეთის ქუჩების კვეთაზე დაიდგა შუქნიშანი, რომელიც ხელს შეუწყობს უსაფრთხო მოძრაობას.

ჩემი ინიციატივით და საკრებულოს გადაწყვეტილებით ვარკეთილი 3-ში ორ ქუჩას დაერქვა რწმენის და ნაზი შამანაურის სახელი.

ასევე საძირკველი ჩავუყარეთ ვარკეთილი -3 მე-4 მ/რ წმ.ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მშენებლობას.

ჩვენი ორგანიზებით და საქველმოქმედო ფონდის „სავსე გულით" მხარდაჭერით ჩავატარეთ სოციალური აქცია, რომლის ფარგლებში ვარკეთილში მცხოვრები სოც. დაუცველი და პატიმრების ოჯახების შვილები, 30 ბავშვი ერთი დღით დავასვენეთ „ჯინო ფერედაის"-ში.

ასევე ჩვენი ინიციატივით და საქართველოს პენსიონერთა ლიგის მხარდაჭერით უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდა ვარკეთილში მცხოვრებ 70-მდე სოც.დაუცველ პენსიონერებს.

აღსანიშნავია ასევე, რომ სატრანსპორტო სამსახურის დახმარებით სუხიშვილის ქუჩაზე დაედგით ორი ახალი და გადაცემულ მისამართებზეც უახლოეს მომავალში დაიდგმება რამდენიმე მოსაცდელი.

ხშირი კონტაქტი გვაქვს ოლქში მდებარე საჯარო სკოლებთან და საბავშვო ბაღებთან, სადაც ღონისძიებების ხშირი სტუმრები ვართ. აღნიშნული აქტივობა ემსახურება კულტურულ-საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში მოზარდების შემოქმედებით-ინტელექტუალური დონის ამაღლებას.

მონაწილეობა მივიღეთ გამწვანებისა და დასუფთავების აქციაში.

მინდა აღვნიშნო,რომ როგორც საკრებულოს წევრი დავესწარი 25 საკრებულოს სხდომას, 10 „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის" ფრაქციის სხდომას,განათლებისა და კულტურის კომისიის 14 და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის 20 სხდომას. ყველა სხდომაზე განხილული საკითხები პასუხობდა საზოგადოების გამოწვევებსა და ქალაქისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე გამოგვქონდა დადებითი გადაწყვეტილებები.

ბიუროს თანამშრომლებთან ერთად პატივი მივაგეთ 9 აპრილის გმირებს და ყვავილებით შევამკეთ მემორიალი.თითოეული ჩვენთაგანის ვალია უკვდავყოთ თითოეული გმირის სახელი,რომელთაც სიცოცხლე შესწირეს საქართველოს თავისუფლებას.

ბიუროს ინიციატივით და გამგეობის მხარდაჭერით ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ვარკეთილში მოეწყო კულტურულ-გასართობი ღონისძიებები.

ხშირია შემთხვევა, როცა ბიურო სტუმრობს მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახებს და გადასცემს სიმბოლურ საჩუქრებს. მინდა გამოვყო შანავების მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველი ოჯახი, რომელთაც ჰყავთ ოთხი ვაჟიმომავალი სპორტსმენები, ბავშვებს აქვთ უმარავი თასი და მედალი და მიმაჩნია, რომ ნამდვილად დადგება მათგან ღირსეული ადამიანები.

მე ამავდროულად ვარ მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სამგორის საოლქო ორგანიზაციის  თავმჯდომარე და ჩემს მეგობრებთან ერთად ხშირად ვაწყობთ მსგავს საქველმოქმედო აქციებს.

ასევე მონაწილეობა მივიღე საკრებულოს წევრებთან ერთად თბილისში ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის სესიის გახსნაზე პარლამენტში, რომელსაც დელეგატებისა და პარლამენტის წევრებთან ერთად საქართველოს კათოლიკოს -პატრიარქი ილია II და  ხელისუფლების სხვა შტოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საკრებულოში გამართულ ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში ვღებულობ მონაწილეობას, რათ თითოეულ ამომრჩევლამდე მივიტანო ის სიახლეები და პერსპექტივები, რაც იგეგმება ჩვენს ქალაქში დ ყოველივე  ეს  მიმართულია მოქალაქეთა ზრუნვისაკენ.

თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის ვარკეთილი-3 2016 წელს დასრულებული, მიმდინარ
და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები (დანართი 1)

| | | | |
|---|---|---|---|
| | საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია | | |
| 1 | ვარკ. 3, I მ/რ. კორპუსი #21ა და #22ა | 28981.49 | დასრულდა |
| 2 | ვარკეთ. 3, IV მ/რ. კორპ. #425ა | 3561.18 | დასრულდა |
| 3 | ვარკეთ. 3, I მ/რ. კორპ. #26 | 13916.24 | დასრულდა |
| 4 | ვარკეთ. 3, IV მ/რ. კორპ. #406ბ | 7031.48 | დასრულდა |
| 5 | ვარკეთ. 3, III მ/რ. კორპ. #312 (II ეტაპ) | 26578.11 | დასრულდა |
| 6 | ვარკ, IV მ/რაიონი, II რიგი, კორპ #13 | 7712.4 | დასრულდა |
| 7 | ვარკეთ. 3, II მ/რ. კორპ. #40 | 10338.39 | დასრულდა |
| 8 | ვარკეთილი 3, I მ/რ. კორპუსი #3 | 42388.38 | დასრულდა |
| 9 | ვარკეთილი 3, II მ/რ. კორპუსი #7 | 37739.25 | დასრულდა |
| 10 | ვარკეთილი 3, I მ/რ. კორპუსი #9 | 9128.17 | დასრულდა |
| 11 | ვარკეთილი 3, II მ/რ. კორპუსი #8ა | 6910.72 | დასრულდა |
| 12 | ვარკეთილის 1 მ/რ, კორპუსი N29 | 28035 | დასრულდა |
| 13 | ვარკეთილის 3, მე-3ა მ/რ, კორპუსი N345 | 12399.96 | დასრულდა |
| 14 | ვარკეთილი 3, 3ა მ/რ, კორპუსი N338 | 54912.14 | დასრულდა |
| 15 | ვარკეთილის 3, მე-2 მ/რ, კორპუსი N39ა | 24107.26 | დასრულდა |
| 16 | ვარკეთილის 3, 3ა მ/რ, კორპუსი N324 | 24638.94 | დასრულდა |

| | | | |
|---|---|---|---|
| | წყალსადენის ქსელის მოწყობა | | |
| 1 | ვარკეთილი 3, 4-მ/რ, კორპუსი #406ბ | 3866.39 | დასრულდა |
| 2 | ვარკეთილი 3, III მ/რ, კორპუსი #332 | 4893.04 | დასრულდა |
| 3 | ვარკეთილი 3, IV მ/რ, კორპუსი #425ა | 8424.46 | დასრულდა |
| 4 | ვარკეთილის 3, მე-4 მ/რ, კორპუსი N414 | | დასრულდა |

| |
|---|
| სანიაღვრე ქსელების მოწყობა |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ვარკეთილი 3, III მ/რ, კორპუსი #329,330,331,332,335,337 -დან ჯავახეთის ქუჩამდე | 97062.06 | დასრულდა |
| 2 | ვარკეთილი 3, I მ/რ, #105-ე საჯარო სკოლიდან კორპუსი #9,13,14,15 საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა | 120001.91 | დასრულდა |
| 3 | ვარკეთილი 3, I მ/რ, კორპუსი #35 | 2625.48 | დასრულდა |
| 4 | ვარკეთილი 3, III მ/რ, კორპუსი #313 | 23865.53 | დასრულდა |

| | | | |
|---|---|---|---|
| | სკვერების მოწყობა | | |
| 1 | ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპუსი N2ა 2ბ, არსებული სკვერის მოწყობა | 299995.07 | დასრულდა |
| 2 | ვარკეთილი 3, სუხიშვილის ქუჩის ბოლოს სკვერის მოწყობა | 134115.69 | დასრულდა |
| 4 | ვარკეთილი 3, მე-3 მ/რ, 306-ე კორპუსი | 45536.84 | დაგეგმილი |
| 3 | ვარკეთილი 3, მე-3 მ/რ, 403-ე კორპუსი | | მიმდინარე |

| | | | |
|---|---|---|---|
| | სტადიონის მოწყობა | | |
| 1 | ვარკეთილი, II-ე მ/რ. კორპუსი #4-5-6 | 30447.31 | დასრულდა |
| 2 | ვარკ.-3, III-ე მ/რ. კორპუსი #322-ს და #335 | 23994.29 | დასრულდა |
| 3 | ვარკეთილი 3, II მკრ. კორპუსი #12 | 25298.72 | დასრულდა |
| 4 | ვარკეთილი, I მ/რ. კორპ. #1 და #3 | 15779.78 | დასრულდა |
| 5 | ვარკეთილი, II მ/რ. კორპ. #25 | 9580.09 | დასრულდა |
| 6 | ვარკეთილის 3, მე-4 მ/რ, კორპუსი N409 | | დასრულდა |

| | | | |
|---|---|---|---|
| | საგზაო სამუშაოები | | |
| 1 | ვარკ 3, 3ა მ/რაიონი. კორპუსი #342-343-ის ეზო | 50848.09 | დასრულდა |
| 2 | ვარკეთილი, დვალის ქუჩის მიმდებარედ | 17945.06 | დასრულდა |
| 3 | ვარკეთილი 3, IV მ/რაიონი, #414-ე კორპუსის მიმდებარედ | 15961.31 | დასრულდა |
| 4 | ვარკეთილი III, IV-ე მკრ-რნი, კორპუსი #421-სა და მაღაზია ორნაბიჯს შორის | 7391.59 | დასრულდა |
| 5 | ვარკეთილი III, IV-ე მკრ-რნი, სესილია თაყაიშვილის ქუჩიდან კორპუსი #401-დან და #407-მდე მისასვლელი გზა | 85539.25 | დასრულდა |
| 6 | ვარკეთილის 1 მ/რ, კორპუსი N29 | 24759.07 | დასრულდა |
| 7 | გზების ორმოული შეკეთება ვარკეთილი 3. 4მ/რ. კორპ. 414 | | დასრულდა |

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 | ვარკეთილი 3, მე-3 მ/რ, კორპუსი N329, N330, N331, N332, N335, N337-დან ჯავახეთის ქუჩამდე სანიაღვრე ქსელის მოწყობისას დაზიანებული ასფალტის აღდგენა | | დასრულდა |
| 9 | ვარკეთილი 3, 1 მ/რ, N105-ე საჯარო სკოლიდან კორპუსი N9, N13, N14, N15 საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩამდე სანიაღვრე ქსელის მოწყობისას დაზიანებული ასფალტის აღდგენა | | დასრულდა |
| 10 | ვარკეთილი 3. 2 მ/რ. კორპ. 38 სარინელი | | დასრულდა |
| 11 | ვარკეთილი 3. 2 მ/რ. კორპ. 16 | | დასრულდა |
| 12 | ვარკეთილი3 , 1 მ/რ, კორპუსი 26 -ის მიმდ | | დასრულდა |
| 13 | ჯავახეთის ქუჩის და სუხიშვილის ქუჩის კვეთა მაღაზია ტეინობუმთან | | დასრულდა |
| 14 | ვარკეთილი 3 3 ა მ/რ. კორპ. 336 მაღაზიის წინა მხარე | | დაგეგმილი |
| 15 | ვარკეთილის 1 მ/რ კორპუსი 21 ა-22 | | დაგეგმილი |

OSCE PA
GEORGIA
TSKHINVALI REGION /SOUTH OSSETIA






MT S 522



Express


Ia Makasarashvili
Search
Home 20
March
Sponsored
მადონა ღელაძე > Ia Makasarashvili
March 19 Tbilisi
ქალბატონო ია! სამების მრევლის სახელით მადლობას გიხდით ამ განუყელი სიკეთისთვის. რომელიც სამგორის ქართული ოჯახების აქტივისტ მეგობრებთან ერთად, საკუთარი სახსრებით, დახმარება გაუწიეთ ერთ ტრაგედიით სავსე ოჯახს. თქვენ საფლავი შეუქმნიეთ ოთხი შვილის დედას, ფულადი დახმარება აღმოუჩინეთ მის მეუღლეს და კიდევ ბევრ სიკეთეს დასჩრდით ბავშვების სასიკეთოდ. ... არ გამოიყენებია სახელმწიფო რესურსი, რადგან კაცები საშეალებას არ გაძლევდათ. ამბავმაც ჩვენ აღვაფრთოვანა თქვენმა ადამიანურმა მიდგომამ ამ საკითხის მიმართ ქალბატონო ია! კიდევ ერთხელ მადლობა ყველაფრისთვის და მიხარია რომ თქვენი სახით ირსებობს ისეთი სახელმწიფო მოხელე, რომლისთვისაც ბოლამის სიყვარული ძალიან მაიმეფელია. უფალმა შეგაძლებინოთ სიკეთის კეთება ცხოვრების ბოლომდე. ეს დიდი ნიჭია!
Sponsored
ობლიან ხელი 500 - 500
ლარად
ალალი 5,000 ლარამდე
ხელი ობლიან რეგიონში,
სახლიდან გაქცეულებდ
ბავშვებისა
ინფორმაციისთვის







განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მონაწილეობა კომისიის სხდომებში

2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განათლებისა და კულტურის კომისიამ ჩაატარა 15 სხდომა, რომელზეც განხილული იყო 31 საკითხი

კომისიის წევრი ქალბატონი ია მაკასარაშვილი საანგარიშო პერიოდში დაესწრო 14 სხდომას და განიხილა 27 საკითხი. მათ შორის:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | | 1. ,,ქ .თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ გრიგოლ ლილუაშვილის დანიშვნაზეთანხმობის მიცემის შესახებ'' (N 04/669) საკითხის განხილვა | 15.01.2016 |
| 2 | | 1. ავადობის პრევენცია და ჯანსაღი ფიზიკური განვითარების პროგრამა ქ. თბილისის ბაგა-ბაღებში. | 11.02.2016 |
| 3 | | 1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი-თბილისის თანამედროვე ბალეტის'' დაფუძნების შესახებ. | 19.02.2016 |
| 4 | | 1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებუ;ოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (#04/3283);<br>2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნატო ქიტიაშვილის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის შესახებ. (საკრებულოს N 04/3557 25.02.2016 მერიის N 6/4381 25.02.2016 | |
| 5 | | 1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ჩართულობა თბილისის ბაგა-ბაღების მონიტორინგის პროცესში.<br>2. სსიპ ქ. თბილისის N54 საჯარო სკოლისთვის სოფიკო ჭიაურელის სახელის მინიჭების შესახებ (04/21965);<br>3. სსიპ ქ. თბილისის N16 საჯარო სკოლისთვის დავით სარაჯიშვილის სახელის მინიჭების შესახებ (06/3254); | 29.03.2016 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 | | 1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/6855);<br>2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ (04/3827);<br>3. ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის", ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურუ სახლ-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ.თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის, ა(ა)იპ ქ. თბილისის მიხეილ ჯავახიშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმის, ა(ა)იპ „ქ.თბილისის გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმის", ა(ა)იპ ქ.თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ.თბილისის მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის", ა(ა)იპ ქ.თბილისის სოსო წერეთლის მემორიალური ბინა-მუზეუმის და ა(ა)იპ „ქ.თბილისის თოჯინების მუზეუმის" რეორგანიზაციის (შერწყმა/გაერთიანება) შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ მუზეუმიების გაერთიანების" შექმნის თაობაზე თანხმონის მიცემის შესახებ (04/6857); | 15.04.2016 |
| 7 | | 1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეგლის თანამდებობაზე დიმიტრი ორმოცაძის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხი (04/8555;6.05.2016). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კახაბერ გვანცელაძის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხი (04/8555; 6.05.2016).<br>2. „ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „ თბილისი"-ს ჩატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N 11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;<br>3. „ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისი" ჩატარებისთვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N 128 განკარგულებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ. | 13.05.2016 |
| 8 | | 1. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 2016 წლის პირველ კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა. | 18.05.2016 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 9 | | 1. „საქართველოს დედაქალაქის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფწროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით "რიყე-ნარიყალა" მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (04/10212)<br>2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2016 წლის პირველ კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა. | 09.06.2016 |
| 10 | | 1. მახათას მთის მიმდებარედ არსებული პანთეონისთვის „ახალი პანთეონის" სახელის მინიჭების საკითხის განხილვა (04/11164; 20.06.2016);<br>2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოების ანგარიშის განხილვა. | 21.06.2016 |
| 11 | | 1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/11111; 17.06.2016). | 24.06.2016 |
| 12 | | 1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მამუკა მუმლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის საკითხი"(04/12991);<br>2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/13372);<br>3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გაათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების ანხორციელების წესის დამტკიცების შესახებ"(04/9479) | 22.07.2016 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 | | 1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ტბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (04/14139);<br>2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილედ გიგა ნიკოლეიშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ; „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილედ ნატო ქიტიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ; „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსად ირაკლი ხუცურაულის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ; „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსად გიორგი უკლებას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (04/14141);<br>3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (04/14140). | 02.08.2016 |
| 14 | | 1. სსიპ ქ. თბილისის N 113 საჯარო სკოლისთვის ცოტნე დადიანის სახელის მინიჭების შესახებ (06/8086); | 22.09.2016 |

## I. 26 იანვარი, 2016 წელი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიასა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას შორის 2015 წლის 8 ივლისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ინფორმაციის მოსმენა თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებების შესახებ.

ინფორმაციის მოსმენა მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირების წარმომადგენლებისაგან.

ინფორმაციის მოსმენა ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფესიული კავშირების წარმომადგენლებისაგან.

## II. 28 იანვარი, 2016 წელი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიასა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას შორის 2015 წლის 8 ივლისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ინფორმაციის მოსმენა საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებების შესახებ.

## III.2 თებერვალი, 2016 წელი

მერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის მიერ მომზადებული და დამტკიცებული „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2015-2020 წწ სამოქმედო გეგმის" პრეზენტაცია და დედაქალაქისათვის 2016 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

## IV. 18 თებერვალი, 2016 წელი

მოქალაქე მარინე დემურიშვილის განცხადებების განხილვა (14.12.15 - #22536 და # 22537; 12.01.16 - # 422).

## V. 26 თებერვალი, 2016 წელი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/3283).

## VI. 22 მარტი, 2016 წელი

საათანადო საცხოვრებლის უფლების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის (14.01.16, #06/699) განხილვა.

## VII. 29 მარტი, 2016 წელი

მოქალაქე ეკა გულუას განცხადების (5496/ 22.03.16) განხილვა სარაჯიშვილის ქ. №1-ის მიმდებარედ მშენებარე 24 სართულიანი შენობის კოეფიციენტისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის თაობაზე.

## VIII. 5 აპრილი, 2016 წელი

ორხევის დასახლება, ჩანტლაძის 4/2, ყოფილი ავტობაზა „ტურისტის" შენობაში მცხოვრები დევნილი და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების განცხადების (6190/31.03.16) განხილვა.

შპს „თბილისის კარდიოლოგიური საავადმყოფოს" დირექტორის თემურ შენგელიას განცხადებების (07/5294; 07/4992) განხილვა.

## IX. 13 მაისი, 2016 წელი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის #17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/8669).

## X. 2 ივნისი, 2016 წელი

თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონთან დაკავშირებით ტენდერის საფუძველზე დაგეგმილი ღონისძიებები და მათი შესაბამისობა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

## XI. 22 ივნისი, 2016 წელი

ინფორმაციის მოსმენა ორხევის დასახლებაში, ჩანტლაძის ქ. №4/2-ში მდებარე, ავტობაზა ტურისტის შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) და შენობაში მცხოვრები მოსახლეობის განსახლების შესახებ (შენობაში მცხოვრები მოსახლეობის განცხადება №6190).

დადგენილების პროექტი ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის ინიციატივა).

## XII. 28 ივნისი, 2016 წელი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემის შესახებ (მათ შორის: ნასაგურის წმინდა გიორგის ეკლესიის მაგალითზე).

მოქალაქე ლიზა აშიგოვას განცხადებების (№6286; №6287) განხილვა.

## XIII. 1 ივლისი, 2016 წელი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ანგარიშის მოსმენა:

დალი მაზმიშვილის წიგნის - ,,იმედით ძლეული უიმედობა" დაფინანსებასთან დაკავშირებით, კომისიის რეკომენდაციის გაცემაზე თანხმობის საკითხის განხილვა (28.06.16, #1-1908).

## XIV. 7 ივლისი, 2016 წელი

ქიზიყის ქუჩა #33-ში მდებარე შენობა-ნაგებობებისა და მათში კანონიერი უფლების გარეშე მცხოვრებ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

2016 წლის განმავლობაში ქიზიყის ქუჩაზე დაგეგმილი/დასაგეგმი ინფრასტრუქტურული პროექტების (მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების) შესახებ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტო"-ს ანგარიშის მოსმენა.

## XV. 14 ივლისი, 2016 წელი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის საქმიანობის 6 თვის ანგარიშის მოსმენა.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვა კომისიის საქმიანობის პრიორიტეტების შესახებ.

ინფორმაციის მოსმენა მოქალაქე მარინე ქოჩლაძის განცხადებასთან (01.07.16, 12249) დაკავშირებით, 14 ივლისს, 14.00 საათზე, კომისიის მიერ დაგეგმილი სამუშაო შეხვედრის შესახებ.

## XVI. 21 ივლისი, 2016 წელი

2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების (დავით გურგენიძის, დავით ბორძიკულის, ნანა ქემოკლიძის, ნანი კრიჭაშვილის, ზაზა ჯელაძის) 08.07.16 #12805 განცხადების განხილვა.

მოქალაქე გიორგი დარბაისელის (21.06.16, #11351) განცხადების განხილვა, მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ლეგალიზაციის საკითხზე.

## XVII. 28 ივლისი, 2016 წელი

თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის პროექტის პრეზენტაცია.

## XVIII. 02 აგვისტო, 2016 წელი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (04/14139 29.07.16წ.).

## XIX. 22 სექტემბერი, 2016 წელი

ორგანიზაცია ,,უმუშევართა კავშირი დასაქმებისათვის“ 15.09.16 #07/16618 განცხადების განხილვა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირთა ბინის ქირით უზრუნველყოფის შესახებ.

ა.ა.ი.პ ,,კონსტიტუციის 42-ე მუხლის" 15.09.16 #07/16568 განცხადების განხილვა 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში სტიქიით მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის მობილიზებული თანხებისა და რესურსების ხარჯვის პროცესის მონიტორინგის პროექტთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის 2016 წლის 21 ივლისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ინიცირებული პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

## XX. 13 ოქტომბერი, 2016 წელი

ა.ა.ი.პ ,,კონსტიტუციის 42-ე მუხლის" 15.09.16 #07/16568 განცხადების განხილვა 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში სტიქიით მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის მობილიზებული თანხებისა და რესურსების ხარჯვის პროცესის მონიტორინგის პროექტთან დაკავშირებით.